


1 ბან.

საქართველოს სსრ ბრძოლმხარული  
ტურიზმისა და ექსპურსიათა საზოგადოება

ი. ასლანიშვილი



# აფხაზეთის სვანეთი

1926 წლის მოგზაურობის მიმოხილვა

25 სურათით და რუკით ტექსტში



საქართველოს სსრ პრეზიდიუმის  
ტერიტორიული და მასშტაბის საგარეო  
სამართლებრივი დეპარტამენტი

ი. ანდანიშვილი


9.626  
2

# ავსტრია-უნგრეთის სენატი

1926 წლის მოგზაურობის მიმოხილვა  
25 სურათით და რუკით ტექსტში.

სპობ-2000  
შეფარებულია





Д-р И. А. АСЛАНИШВИЛИ

# АБХАЗСКАЯ СВАНЕТΙΑ

Записки экспедиции 1926 года

ი. ასლანიშვილის 1926 წლის ჯაფხულის მიმოსილვა „აფხაზეთის სვანეთი“ მოხსენებულთა ტფილისში საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთავალა-გზავროსნობის განყოფილების საჯარო სხდომაზე 1926 წლის 8 დეკემბერს და ჯემოსვანეთში — მესტიაში ეჭიმებისა, მუზა-მოსამსახურეთა და მოსახლეობის უმეკავშირებელ საღამოზე 1930 წლის 31 აგვისტოს.



## წინასიტყვა

აფხაზეთში დასახლებულ სვანების შესახებ სრულიად არავითარი ცნობები მოიპოვება ლიტერატურაში. არაფერი დაწერილა მათ შესახებ. სვანეთიდან მათი გადმოსახლების ისტორია მხოლოდ 30 წლით განისაზღვრება. დღეს დღეობით აფხაზეთის რუკის მიდამოები, სადაც სვანები მოსახლეობენ და რომელიც სულ თეთრად იყო, უკვე შესწორებული და შევსებულია. 30 ახალი სოფელი და ახალშენი გაშლილია აფხაზეთის იმ ულრან ტყეებში, სადაც მრავალ ათეული წლების განმავლობაში ადამიანის ნასახი არ ყოფილა.

აუგუუნდა მანქანები, გაიშალა ხის მრეწველობა, მოეფინა სწავლა განათლება, ამუშავდა საბჭოთა საზოგადოებრივობა, მიდის გზა, მუშაობს ექსპედიციები, სწარმოებს კვლევა-ძიება ყოველ დარგის მეცნიერების მხრივ.

აფხაზეთის სვანების შესახებ ჩვენს მიერ უკვე რამოდენიმე მოხსენებები იყო წარმოდგენილი, როგორც საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში, ისე საქართველოს ექიმთა საზოგადოებაში და სრულიად საქართველოს ექიმთა სამეცნიერო კონგრესზე.

ჩვენ განზრახული გვაქვს სრული ყოველმხრივი გამოკვლევათა ნაშრომის გამოცემა სულ ახლო მომავალში, ეს წინამდებარე თავი კი არის მხოლოდ ზოგადი ზასიათის მოგზაურობის საერთო მიმოხილვა. ამ მიმოხილვაში ჩვენ ვეცადეთ მკვლელ და ყოველმხრივ შევხებოდით აფხაზეთში დასახლებულ სვანებს, მათ მიდამოებს ე. წ. დაღის ნაწილობრივ დახასიათებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ენტუზიაზმი, რომელიც ჩემს იქ მუშაობის დროს გამოიჩინეს კომკავშირელ სვანებმა და თავისი დახმარებით მეც ძლიერ გამამზნევეს; ამისათვის ამხანაგებს: გ. თაშლიანს, ვ. დგებუაძეს, ი. იოსელიანს, ს. გასვიანს, ს. მურღულიანს, ს. ჩოფლიანს უცხადებ ამხანაგურ მადლობას.

ი. ასლანიშვილი.



სურ. 1. ნადირობის შემდეგ მოკლულ ჯიხვთან. მონადირე აბრამ  
თამლიანი ჩვენ ჯგუფთან ერთად კურორტ აძვარაში.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

სურათი 2ა მწვერვალი ჩოჩა — 3634 მეტრი.

1925 წლის ზაფხულში, როდესაც მუშაობა მიხდებოდა სვანეთში სასეცნიერო სამკურნალო ექსპედიციასთან ერთად ჩიყვისა და ჩიყვიანობის გამოკვლევის მიზნით, ხშირად გამიგონია სვანებს შორის დალის ანუ აფხაზეთის მიდამოებში მყოფ სვანების შესახებ. პირველად დალის შესახებ გავიგე ლატფარის გადასავალს რომ გადავდიოდით. ჩემს ნაშრომში „ექსპედიცია სვანეთში“ ასე მაქვს მოხსენებული ეს ამბავი:

„დასვენების შემდეგ გაუდექით ლატფარისაკენ, მორჩა ტყე, გავედით ყვავილოვან სამეფოში. ირგვლივ მშვენიერი სურნელება, ათასგვარი ყვავილები, გადაშლილი უზარმაზარი ხალიჩასავით, საუკეთესო საბალახოები, სადაც საქონელი მრავლად მოჩანს. ჩვენ წამოვეწიეთ ერთ სვანის ოჯახს, რომელიც თავის ავლა-დიდებით მიემართებოდა ლატფარისაკენ. განოკითხვიდან გავიგეთ რომ იგინი დალს მიდიან, გადასახლებულან. დალი აფხაზეთის მიდამოებია ზემო სვანეთის საზღვარზე, საითქენაც უკვე ეს ოცი წელიწადია ესახლებიან სვანები, რომელთაც იწვევს იქით დალის მიწის სიუხვე და უკეთესი ცხოვრება. დღეს დეობით დალში 500—600 მოსახლეა სვანეთიდან გადასახლებულნი. მაგალითად იმერეთ-სამეგრელოში სვანი

არ გადასახლდება; მისთვის შორია და დაბლობი. დალი კი მის გვერდითაა, მიწაც და მოსავალიც კარგი იცის. დალს ამის გამო აფხაზეთის სვანეთს ეძახიან. აი სწორედ იქითკენ მიიწევდა იმ სვანის ოჯახიც, რომელსაც ჩვენ ლატფარის მშვენიერ მიდამოებში წამოვეწიეთ“. („ექსპედიცია სვანეთში“ გვ. 45-46).

დალის შესახებ უფრო შემდეგში დავინტერესდი, სახელდობრ მაშინ, როდესაც ზემო სვანეთში, ე. წ. საბატონო სვანეთის ცხუმარის თემში ვმუშაობდი. აქ ისევ ჩემს მეორე ნაშრომიდან „ჩიყვი სვანეთში“ მოვიყვან ერთ ადგილს ფრად მნიშვნელოვანს იმისათვის, რომ სწორედ ამ გარემოებამ გვაფიქრებია გასულ 1926 წ. ზაფხულს დალისაკენ გავმგზავრებულყავით.

„ცხუმარის თემში გადაშლილა ერთი დიდი სოფელი — სვიფი, სხვა სოფლებთან შედარებით რასაკვირველია. ეს სოფელი 1120 მეტრის სიმაღლეზეა მდებარე ზღვის დონედან. შიგ შუა სოფელში მშვენიერი მადნეული წყაროა, საიდანაც მთელი სოფელი წყალს სასმელად ხმარობს. სოფელი სვიფი დაჩიყვიანების 5,2% -ს გვაძლევს. 190 სულზე ჩვენ მხოლოდ 10 ჩიყვიანი ვნახეთ და როგორც გამოვარკვიე, იგინი ყველანი 3 წლით გასული ყოფილან დალში და იქ გაჩენიათ ჩიყვები. სოფელ სვიფში ყოფნისას მანამდის მათ ჩიყვები არ ქონიათ და მხოლოდ დალში შეუმჩნევიათ უკვე ჩიყვისათვის... „...როგორც იქ მყოფი სვანები გადმოგვცემდენ, ჩიყვი სვანებს იქაც უჩრდებათ თურმე და სვანებს გარდა სხვა ტომის ხალხიც ყოფილა დალში დაჩიყვიანებული“. („ჩიყვი სვანეთში“ გვ. 50).

იმავე 1925 წლის ზაფხულს ფარის თემში მუშაობის დროს სოფელ ყაბე ლუჭაში შემდეგი სურათი ვნახე, რაც აგრეთვე ზემოთმოხსენებულ პირველ ნაშრომში მაქვს გამოქვეყნებული:

„სოფელები მზად იყვნენ ყველანი სოფლის შუა ადგილზე. თურმე დალიდან ცხუმარისაკენ მოასვენებდენ ერთ ცხუმარელ სვანს და გზა-გზა ყველა უნდა შეხვედროდა და სათანადო პატივიც ეცა მიცვალბულისათვის.

„...დალში გადასულ სვანებს ახლო კავშირი აქვთ თავიანთ ძველ ადგილებთან. ამ კავშირს იგინი სრულიად არ სწყვეტენ. ნათესავეები ერთი მეორეში ხშირად გადადიან და გადმოდიან. რა არის სვანისათვის ორი სამი დღე სიარული მთაში. ჩაიწყობს



სურათი 3. მწვერვალი ღომბაი-ულგენი — 3977 მეტრი.

თავის გუდაში რაშოდენიმე ხაჭაპურს, წყალისათვის სვანური ქული თავზე აქვს და მიდის თავისთვის.

აი სწორედ ამ დალიდან მოსვენებდენ მიცვალებულს სვანები ცხუმარისაკენ. სოფელში ჩოჩქოლი იყო, მაგრამ მიცვალებული არ ჩანდა, თუმცა შიკრიკი წინდაწინ იყო წაშოსული და გზა-გზა მთელ სოფლებმა იცოდა, რომ მიცვალებულს მოასვენებდენ“. („ექსპედიცია სვანეთში“, გვ. 102).

ასეთია ის მოკლე და მშრალი ცნობები, რომელიც ჩვენ 1925 წლის ზაფხულში შივიღეთ სვანეთში მოგზაურობის დროს და ამას უნდა დაუმატოთ აგრეთვე ზემოთმოხსენებულის მიხედვით 1926 წელს ჩემს მიერ საქართველოს გაზეთებში გამოქვეყნებული ცნობები დალის ანუ აფხაზეთის სვანეთის შესახებ. ცნობები რასაკვირველია იყო შემთხვევითი, მაგრამ ამის და მიუხედავად სრულიად ახალი ცნობებია, რომელიც ოდესმე გამოქვეყნებულა აფხაზეთის სვანეთის შესახებ, ვინაიდან ამ ცნობების გარდა ამ ახალ, ჩვენთვის სრულიად უცნობ მხარის შესახებ სხვა რამე არასოდეს გამოქვეყნებულა. ამისათვის ამ ცნობების გაცოცხლება-გამოაშვარება და სავსებით მათი დადასტურება აუცილებელი იყო და ჩვენ ვცადეთ დალის ხილ-

ვა და მის შესახებ ყოველივე ამბის ჩვენი ხალხისათვის ვაღ-  
მოცემა.

ჯერ კიდევ 1925 წელს ვცადეთ ჩვენ დალში გამგზავრება—  
ასეთი იყო დასტური ექსპედიციაში მომუშავე ამხანაგ-მეგობ-  
რების; მაგრამ მრავალი დამაბრკოლებელი მიზეზები გადი-  
ლობა ჩვენს განზრახვას და იძულებული შევიქენით ეს ფიქრი  
მომავალში მაინც განგვეხორციელებინა.

1926 წელს ზაფხულში სათანადო თანხისა და წამლეულო-  
ბის მიღების შემდეგ საქართველოს ჯანმრთელობის სახალხო  
კომისარიატისაგან და დამატებითი წამლეულობისა საქართვე-  
ლოს წითელი ჯვრის საზოგადოებიდან, უკვე წინასწარ გან-  
ზრახულ გეგმის მიხედვით ჩვენ გავემგზავრეთ აფხაზეთისკენ.

აფხაზეთის სვანეთში გამგზავრებისას დასახული გეგმის მი-  
ხედვით ჩვენი მიზანი იყო შემდეგი:

უპირველეს ყოვლისა 1925 წლის მუშაობის მიხედვით სვა-  
ნეთში ჩიყვისა და ჩიყვიანობის გამოკვლევა შეადგენდა ჩვენს  
მთავარ საქმეს, ვინაიდან ეს იქნებოდა წინა წლის მუშაობის  
გავრძელება და ამგვარად ამ საკითხის სავსებით გამოკვლევა  
სვანებს შორის. ჩიყვისა და ჩიყვიანობის საკითხის დაშუშავე-  
ბა დამთავრება მით უმეტეს აუცილებელი იყო, რომ 1927 წელს  
ტფილისში 'განზრახულ ამიერკავკასიის დასტაქართა მეორე  
ყრილობაზე „საქართველოში ჩიყვის გავრცელების საკითხი“  
უმთავრეს საპროგრამო საკითხად იყო აღიარებული.

შემდეგ იმავე წარსულ მუშაობასთან დაკავშირებული იყო  
ძვალ-სახსართა და ჯირკველთა ქლექის, ე. წ. ქირურგიულ  
ტუბერკულოზის გავრცელების საკითხის შესწავლა სვანებს  
შორის, ვინაიდან ეს სენი, სვანეთის დიად და მკაცრ ბუნების  
მიუხედავად, მძლავრად არის გამჟღარო სვანურ სინამდვი-  
ლეში.

ხალხის მოძრაობა — ესეც დიდი საკითხი, რომელიც ჩვენ-  
თვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო, მით უმეტეს თუ მივიღეთ  
მხედველობაში ის გარემოება, რომ სულ რაღაც სამ ათეულ  
წლის წინად ერთი სვანიც არ ყოფილა აფხაზეთის სვანეთში.  
დღეს კი მათი რიცხვი ორი ათასამდე ასულა. ამ საკითხის და-  
შუშავება ჩვენთვის აუცილებელი იყო, ვინაიდან საქართველოს  
მკურნალთა მომავალ მეზუთე სამეცნიერო კონგრესზე ეს სა-  
კითხი საქართველოს ფარგლებში მთავარ საკითხად იყო აღიარ-



სურათი 4. პეტრე გურჩიანის ბავშვები თხებთან სოფ. საკენში.

რებული და უეჭველად აფხაზეთის სვანეთში ხალხის მოძრაობის საკითხის გამორკვევა მეტად საინტერესო უნდა ყოფილიყო.

ეს იყო სანთ მთავარი საკითხი, რომელიც ჩვენს მიზანს შეეხებოდა. მაგრამ ამას გარდა ჩვენ იძულებული ვიყავით გამოგვეჩვენა და აგვეჩვენა აფხაზეთის სვანეთის მკურნალ-სახვითი მხარე ე. ი. მედიკო-ტოპოგრაფიული ნაწილი. ამას გარდა უნდა შეგვეჩვენა ნაწილობრივ მაინც, შედარებით მცირედ, მაგრამ შესამჩნევად გავრცელებული ციებ-ცხელება — მალარია, რომელიც სვანებს უფრო მაგრად კიდებს ხელს, ვიდრე აფხაზ-მეგრელებს.


რაც შეეხება ხალხის ცხოვრებას და ბუნებრივ სიმდიდრეს, ამაზე ვეცდები შეძლების დაგვარად ჩემი წმიდა მგზავრული შთაბეჭდილებანი გადმოვცეთ, მხოლოდ რაც შეეხება ზემოხსენებულ საკითხებს, ივინი ცალკე იქნება გამოქვეყნებული, აქ კი მათ გაკვრით და მოკლედ მაინც უნდა შევეხოთ.

ავვისტოს პირველი რიცხვები იყო, ახლად მორთული გემი „ილიჩი“ შავი ზღვის ნაპირებით აფხაზეთის მიდამოებისაკენ რომ მიგვაქროლებდა. წკრიალა დაწყნარებული ზღვა სარკესა-

ვით გვეგებოდა ძირს და მხოლოდ გემის ერდოდან ვადამცქე-  
რალი აწინევდი ამ ზღვის ტალღათა ჩქრიალს, რომელიც ძალა  
უნებურად ხმაურობდა უზარმაზარ გემის ქვეშ. აფხაზეთის მი-  
დამოები და მისი მიდიდარი ბუნება თავისაკენ გვიზიდავდა,  
ჩვენ კი შორს გავცქეროდით ამ პატარა ლამაზ კუთხის ბუნე-  
ბას, სადაც მართლაც შორით ცის ტატნობზე ეკვროდა კავკა-  
სიონის მკაცრი ყინულოვანი მიდამოები. იქით იყო ჩვენი მის-  
წრაფება, შის კალთებზე, სადაც უღრან ტყეებში, ამ ქვეყნად  
მოცილებული, დალის არემარეში ცხოვრების მკაცრი პირო-  
ბების მიხედვით დაბანაკებულან ზემო სვანეთიდან ვადმოსახ-  
ლებული სვანები.

აფხაზეთში ჩასვლისას სათანადო დაწესებულებებში დალის  
შესახებ ზოგიერთ ცნობების მიღების შემდეგ ვავემგზავრე  
ეტლით სოხუმის სამხედრო გზით წებელისაკენ, სადამდინაც  
ცუდი გზის გამო 28 კილომეტრის ვავლას ხახავარი დღე მო-  
ვანდომეთ. მეორე დღეს კი ადმინისტრაციის დახმარებით ორი  
ცხენით ერთი შეგზურის ალექსანდრე ნაჭყეპიას თანხლებით  
ვავემგზავრეთ აფხაზეთის სვანეთის ცენტრისაკენ, რომელ-  
საც აჟარა ეწოდება. წებელს ვავცილდით თუ არა 5  
კილომეტრი, შევედით მდინარე კოდორის ხეობაში. ვზა  
ჯერჯერობით კიდევე შედარებით კარგი მიდის კოდორის  
შალა ტყეში, ხშირად კლდეებში. ნაშუადღევს კარგად  
გადაცილებული იყო ბავადას კლდეზე მიმავალ გზაზე რომ  
შევედით. ბავადას კლდე — ეს დალის საზღვარია დასავლე-  
თით, სალი კლდე ფრიად მაღალი, ზედ გაჭრილი გზა, ქვემოდ  
შორს კოდორი — ბავადის კლდე მართლაც კარია დალის ხეო-  
ბის, რომელიც კოდორის მიდამოებში ვადამილია ტყეში.  
ბავადის კლდიდან იწყება ლათის რაიონი დალის ხეობაში. ლა-  
თის რაიონის ქვემო ნაწილი დასახლებულია აფხაზებით, მე-  
გრელებით, რუსებით, სომხებით, მხოლოდ აქედან 50% —  
სომხებია, 34% — ქართველები, 9% — აფხაზები, 4% — რუ-  
სები და 3% დანარჩენები. სულ 13 სოფელია, მცხოვრებთა რი-  
ცხვი 1351 სული.

რადგანაც ქვემო ლათის მიდამოები შედარებით დაბლობი  
ადგილია, სვანები იქ ვერ სახლდებიან. სვანთა მოსახლეობა იწყ-  
ება მხოლოდ ზემო ლათის ნაწილიდან და დაწყებული ამ მი-  
დამოდან სვანებს უკავიათ ადგილები თვით ზემო სვანეთის



სურათი 5. თებერდას ტბა აკლუხრას გადასავალზე — 2815 მეტრის სიმაღლეზე.

საზღვრებამდე 40 კილომეტრის მანძილზე დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით და აგრეთვე 15 კილომეტრით შეწყველი არიან ჩრდილოეთით კავკასიონის სამხრეთ კალთებზე.

ბავადის კლდეზე ვიყავით ისევ, რომ ამინდმა პირი იცვალა, ნოიღრუბლა, მაინც ვიღებთ ბავადას კლდეს. კლდეზე ერთი უბრალო წარწერა მახარებს: „საქ. გეოგ. ს-ბა 14./IX. 1925 წ.“ რაც ნიშნავს „საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება“. 1925 წ. გ. ნიკოლაძის ექსპედიციამ იალბუხიდან ჩამოსვლის შემდეგ სვანეთი რომ მოიარა გადავიდა აფხაზეთში სწორედ დალზე და ეს პატარა წარწერა ბევრისათვის გაუგებარი დასტოვა კლდეზე. მართლაც და სად არ ყოფილან ჩვენი შთასვლა — მგზავროსნობის განყოფილების წევრები, თავის საუკეთესო მეგზურებთან გახა წიკლაურთან და იაგორა კაზალიკაშვილთან ერთად, რა არ უნახავთ, რამდენი კარგი გრძობა განუცდიათ, რამდენი ადგილი მოუვლიათ, ჩვენი ქვეყნის ნამდვილ მშრომელთ ჭირვარამს გაცნობიან, მათი ლამაზი შილდამოებით დამტკბარან და ჩვენი ცხოვრების სიღუბეჭირისათვის ალლო აუღიათ.

ამისათვის მიყვარს მათი სიმხნევე, მათგან ბუნების გაგება, მათთან ბუნების სიყვარული, თვით ხალხის წიაღში გადავარ-

დნა, შრომის შეილებთან საუბარი, ყინულოვან მთების მკაცრი სიჩუმე, ყინულოვან ველები ალერსი.

„აქ შევჩერდეთ, ექიმო, შევისვენოთ, წავისაუბროთ“ მითხრა წევზურმა ალექსანდრემ. საშინელი წვიმისა და წყლის წულნი მივადექით ერთ დღეჯანს. ეს იყო სოფელ ქვემო ლათში. 28 კილომეტრი გვექონო გამოვლილი წებელიდან. აქამდის დაგვჩინია კიდეც 26 კილომეტრი. შუადღეზე გადაცილებულია, წავისაუბრეთ, შევისვენეთ. წვიმს. გაუდექით მაინც გზას. თანდათანობით გზა ვიწროვდება, ბილიკებზე გადავდივართ. ალაგ-ალაგ ფეხით მივდივართ. უკვე სვანების მიდამოებში ვართ. სვანების მოსახლეობა იწყება სოხუმიდან 65 კილომეტრის მანძილს შემდეგ. შედარებით ასეთი სიახლოვე, გზა და მასთანვე სრული მოწყვეტილობა დალში მცხოვრებ სვანების კულტურულ ცხოვრებიდან.

განუწყვეტელ წვიმამ ირგვლივ მშვენიერ მიდამოებით დატკბობის ხალისი სულ დამიკარვა. გზაც აღარ თავდება. შემოგვალამდა. მივდივართ სიბნელეში, კოდორის მარჯვენა ნაპირებით ტყეში. მივაწიეთ სრფელ ჩხალთას, სადაც დუქანთან გადმოვედით. შემოგვეგებენ. იქვე მახლობელ სახში დავბანაკდით. საუხზე, მშვენიერი ძილი.

დილით აღრიხანად გავემგზავრეთ აქარისაკენ, გასავლელი გვაქვს 5 კილომეტრი. თუმცა წვიმს ცოტათი, მაგრამ მაინც შეხალისებული მივდივართ. გადავედით მდინარე ჩხალთა, მისი ხეობა მარცხნით და ჩრდილოეთით გვრჩება, ჩვენ კი ტყით მივდივართ სულ კოდორის ნაპირებით. ირგვლივ ტყე; არაფერი ჩანს ტყის ვარდა, სულ ტყე, ტყე უღრანი. გამოჩნდა სოფელი, ეს ქვემო აქარის მიდამოებია. გზით მივადექით მთის მდინარეს — ხეწყვარა იყო, გადასვლა ვერ გავბედეთ. აღიდებული იყო ნაწვინარზე. იქვე შემოგვეშველა ერთი ახალგაზდა სვანი ესტატე გულორდავა, რომელმაც წყალზე გადებულ ბოგირზე გადაგვიტანა ბარგი, შემდეგ გაიყვანა ცხენი, მეც გავყვი, გავედი; ალექსანდრემ ვერ გაბედა და დავტოვეთ წყალ გაღმა. რადგან სკოლის შენობა, ეკლესიასთან გაშენებული, ახლოს იყო და იქ უნდა დავბანაკებულიყავი, გამომყვა ესტატე გულორდავა, რომელსაც უნდა დაებრუნებია ცხენები ალექსანდრესთვის. სკოლასთან კარგა ბლომა ხალხი შემხვდა. კვირა დღე იყო. შედარებით ახლად გახსნილ სკოლასთან გახსნილი




სურათი 6. სოფელ უაბე-გუნწიშელი სვანები.

სამკურნალშენწო ახალი წერტი, სადაც დამხვდენ მკურნალ-  
შემწე და ორი მასწავლებელი. იქვე იყვნენ აკლუხრას გადმო-  
სავალით ყარაჩადან გადმოსული მოსკოველი რუსები, ახლო  
მახლო სოფლებიდან ჩანოსული სვანის ახალგაზდობა. ხელდა-  
ხელ ყველას გამოვეცნაურე, დავბანაკდი, ცხენები გაუშვი, სვა-  
ნებში გავერიე, დაურიგე მაშინვე სამკურნალო ხალხური წიგ-  
ნები, რომელიც ტფილისიდან წითელი ჯვრის საზოგადოებამ  
გამატანა, აგრეთვე ჩენი წიგნები, სვანეთში ექსპედიციის მო-  
გზაურობის შესახებ, აუხსენი ჩემი ჩამოსვლის მიზანი და და-  
ნიშნულება, ასე რომ რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ახალგაზდა  
სვანებმა გადაწყვიტეს, რომ შთელ სოფლებს და მოსახლეობას  
თვითონ დამატარებდენ და ყოველივე დახმარებას აღმოში-  
ჩენდენ.

იმ საღამოსვე უკვე მთელი წარმოდგენა მქონდა აფხაზეთის  
სვანეთის შესახებ, რადგან რუკაზე შემქონდა ყოველივე ცნო-  
ბები ახლად აშენებულ სოფლების და ახალშენების შესახებ,  
რომელთა ცნობებსაც სვანის ახალგაზრდობა მაძლევდა. ამრი-  
გად შეუდევნი ჩემს თადარიგს.

დავიწყოთ დალის საზღვრებიდან: დასავლეთით ბაგდა-  
კლდე; აღმოსავლეთით მთაგრეხილი ხვარხვა, რომელსაც აქ-  
რავს ზემო სვანეთის უკანასკნელი თემი — ჭვიბერი; ჩრდი-  
ლოეთით ბუმბერაზი კავკასი მარუხის მწვერვალ-გადასავლეთი-  
დან ღვანდრას მწვერვალამდე, მათ შორის კი მრავალი მწვერ-  
ვალნი და ცნობილი აკლუხრა და ნახარი. მათ წინ კი ხუტიას  
მთა — სვანების საძოვარი მთა აღვილები. სამხრეთით მდინარე  
კოდორის გადაღმა ჰარვასა და ბარუმბას (ბრამბა) მთები. მთე-  
ლი ეს მოსაზღვრული მხარე მოფენილია განსაკუთრებულ ულ-  
რან ხელუბლებ ტყეებით; ფიჭვი, ნაძვი, წიფელა, ბზა. მშვენიერ-  
რადია დაცული სხვათა შორის ტყეები, რაც აუცილებლად სა-  
სიხარულოა. ჩემში გაკვირვებას იწვევდა ბზის ტყეები, რო-  
მელნიც უზარმაზარ ხეებით იყო წარმოდგენილი, ვინაიდან  
ბზა პირადათ მე მხოლოდ ბუჩქებით წარმომედეგინა, მაგრამ  
როდესაც ერთი მეგზურთაგანი ახალგაზდა სვანი იაროსლავ  
იოსელიანი ხესთან გავაჩერე, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ  
ქონდა, როდესაც ეს მეგზური ხესთან შედარებით პატარათ გა-  
მოჩნდა. როდესაც სოფლიდან სოფელში გადავდიოდი ხშირად  
ასეთი ულრანი ბნელი ტყე თავის მყუდროებით და სიჩუმით  
გაერთოლებას იწვევდა ჩემში და მიკვირდა, რომ ამ ტყეებით  
რასოდენიმე კილომეტრის მანძილზე ბავშვები აქარაში ჩამოდიო-  
დენ სამეცადინოთ, რა იქნება მით უმეტეს ზამთარში, მაშინ  
როდესაც შუა ზაფხულში მეც გამიჭირდა იქ მოგზაურობა.

მდებარედ მთლიანად ტყეებით შემოფარგლული აფხაზე-  
თის სვანეთი გადაშლილია მდინარე კოდორის სათავესა და  
მის შენაკადების მიდამოებში და ხეებში უმთავრესად, თვით  
კოდორის საწყისი არის იქ, სადაც მდინარე ღვანდრა და სე-  
კენი ღვანდრას მთის მიდამოებიდან გამომდინარენი, ერთმა-  
ნეთს ხედებიან, მხოლოდ ღვანდრას ერთვის ნახარის მთიდან  
გამომდინარე ყოლოჩი. უფრო დასავლეთით კოდორს მარჯვენა  
მხრით ერთვის სხვა შენაკადებს შორის უმთავროდ კავკა-  
სიდან გამომდინარე ხეწყვარა და უფრო მის ქვემოთ დიდი  
მდინარე ჩხალთა ანუ აძგარა, რომელიც კავკასის მწვერვალის  
მარუხის მთის მიდამოებიდან იწყება და მომდინარეობს იგი  
ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით; მისი საწყისი მიდა-  
მოები ცნობილია მყავე წყლებით, რის გამოც მდინარე ჩხალ-  
თას აგრეთვე აძგარას უწოდებენ, რაც აფხაზურად მყავეს ნიშ-



სურათი 7. აკლუხრას ყინვარი და ყინულოვანი ტბა.

ნავს. თვით სვანები კი შუავე წყალს „სვიმ“-ს უძახიან. ჩხალ-  
თის ხეობაში დიდი მუშაობა სწარმოებს სატყეო საქმეში, მრავალი  
ხე იჭრებოდა იქიდან ჩხალთა-კოდორის საშვალეებით  
აფხაზეთისაკენ.

სამხრეთით კოდორს, ერთვის მარცხენა ნაპირით მდინარე  
ბრამბა, ამავე სახელწოდების შთიდან გაზომდინარე. უმთავრე-  
სად ამ ზემოჩამოთვლილ მდინარეთა ხეობებშია სვანების სა-  
ნოსახლო ადგილები. შევეხოთ მოკლეთ მათ ჩამოსახლების ის-  
ტორიას. მაგრამ მანამდე თვით ამ აღნიშნულ ადგილების წარ-  
სულს.

ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში კავკასის მთამწვერვალ მი-  
დამოებიდან რუსეთის მეფეების ერთგულნი ერეკებოდენ  
იქაჟრ მოსახლეობას. ვის არ გაუგონია ცნობილი აწიოკებანი  
კავკასის როგორც ჩრდილო კალთებზე, ისე სამხრეთ კალთებ-  
ზე. ამ აწიოკებათა ხანაში, როდესაც აღგავეს კავკასის ჩრდილო  
კალთებზე ნაწილი ჩერქესებისა, რომელნიც მრავლად გადა-  
სახლდენ ოსმალეთში. აღგავეს აგრეთვე მთა აფხაზეთის მიდა-  
მოებში მცხოვრებ აფხაზთა ნაწილი, რომლებიც აგრეთვე იძუ-  
ლებულნი იყვნენ ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ.

არქივებსა და ისტორიულ საბუთების ძებნას ნუ შეუდგებოდა, არმედ როგორც წინააღმდეგობრივი შეუდგეთ მხოლოდ ჩვენს მიერ ნახულის გადმოცემას, ისიც საკმარისი იქნება, რომ ჩვენს წინაშე სავსებით გადანიშნალოს წარსული უსამართლობის სურათი.

როდესაც კავკასის ჩრდილო კალთებზე მომიხდა მუშაობა და ახალშენ ალუფსარიდან ახალშენ ყოლოჩში გადავედი, გავიგე რომ იქ ახლო ტყეში აფხაზთა ძველი საფლავებია. უეჭველად უნდა მენახა. წავედით ტყეში, თან მახლავს იაროსლავ იოსელიანი. დაბურულ ტყეში ორ-სამ ადგილას ხავსით მოკიდებული ქვათა გროვაა, შავად გამოძყურე, ეს არის აფხაზთა გმირული სავანე. ისეთ მიუვალ ადგილას, უდაბურ ტყეში, კავკასის მწვერვალის მახლობლად, სადაც მამა-პაპეულ ადგილებში ცხოვრება განუზრახავს წინაპართა ჩვეულებისამებრ ერთ გროვა ხალხს, მათ საშვალება არ ქონდათ იქ დარჩენილიყვნენ. დარჩენ მხოლოდ ისენი, რომელთა ვინაობა დაკარგულია, მაგრამ საერთო მათი მისწრაფება ახლაც ცოცხალია და ის ჩუნი დახავსებული ლოდები დაბურულ ტყეში ამის მთქმელია.

საშინელ ფიქრებით მოცული ვიდექი აფხაზთა საფლავებთან და ირგვლივი წყვილიადისებური უდაბნოც ბანს აძლევდა ჩემს აყრყოლებულ და დროებით აცახცახებულ სხეულს.

შორეული წარსული მოითხოვდა აფხაზთა ალაგმვას, რათა გამაგრებულიყო და გაფართოებულიყო რუსეთის მეფეთა სანფლობელი. ალაგმეს აფხაზები აღნიშნული მიდამოებიდან და მხოლოდ წარჩინებულთ, მხედართ აძლევდენ, ჩუქნიდენ იმ ადგილებს. მხოლოდ ოთხი ათეული წლის წინად მიეცა საშვალება ზოგიერთებს იმ მიდამოებში დასახლებულიყვნენ. ესენი იყვნენ რასაკვირველია უცხოელები და ამ შემთხვევაში მხარის გამარჯვებელი პოლიტიკას ჯანმტკიცებისათვის ასეთი ელემენტი უნდა ყოფილიყო რუსობა, რომელთაც იქ გადმოსახლებაში მასინდელი მთავრობა დიდათ ხელს უწყობდა. მოდიოდენ აღნიშნულ მიდამოებში შუა რუსეთიდან, მის ყველა ადგილებიდან. მათი მოსახლეობა დამკვიდრდა 3 ადგილას: ლათში, აჟარაში და გუნწიშში. მოეწყო კარგად, მოშენდა, გზაც ხელს უწყობდა; ხელს არავინ უშლიდა, პირიქით. დაწესდა რუსული მოწასტრები, ეკლესია. ძველ რუკებზე ვნახულობთ



სურათი 8. აფხაზთა უძველესი საფლავები.

წარწერებს: „монастырь, подворье, хутор, урочище“ და სხვ.


ეს ადგილები თავისი ნაზი ჰავეით, ტყის შემადგენლობით, შედარებით არც ისე მაღალნი — უჭველად შესაფერისი გამოდგა უცხოელებისათვის და ამის გამო იყო რომ მათთვის ამ მხრივ სწორედ კარგი პირობები შეიქნა.

მაგრამ სწორედ საწინააღმდეგო პირობების მხრივ ამავე დროს ძლიერ შეწუხებულნი იყვნენ იქვე მეზობლად მაღალ მთებში ცინვარების მახლობლად მოსახლე სვანები. უმიწობა, უგზობობა, ამ ქვეყნიდან მოწყვეტილობა ძლიერ აწუხებდა სვანებს, რომელნიც ოდნავ თუმცა, მაგრამ მაინც მატულობდნენ და თავის მტკიცედ შემოფარგულ მიდამოებში გაქანებას ვერ პოულობდნენ. ჭვიბერიდან მთით მართლაც კარგი გადმოსახედიან დალის მიდამოებზე და ალბად ტყისა და ადგილის სიუხვემ გააბედნია ერთერთ სვანს დალში ჩამოსულიყო. ეს იყო თავისუფალი სვანი კალის თემიდან სოფელ ზალდედან ვიორგი ჩოფლიანი, რომელიც 37 წლის წინად გადმოსულია დალში, მაგრამ რასაკვირველია საშვალეობა არ ქონდა დალში მოწყობილიყო. ამის ნებას მას არ აძლევდნენ. იძულებული იყო რამოდე-

ნიმე წლის განმავლობაში ეყიდა პური და ისე ეცხოვრობ. მის შემდეგ კიდევ რამოდენიმე სვანი გადმოვიდა და ამასობაში 1905 წელმ. ც მოაწია. სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის ნამდვილი გადმოსახლების პირველი ტალღა. სვანები ერთგვარად გადმოდიოდნენ დალში როგორც „თავისუფალ“, ისე „საბატონო“ სვანეთიდან. თამამად ესახლებოდნენ დალის ტყეებში. ირჩევდნენ შედარებით რასაკვირველია სწორ ადგილებს. რუსები კი თავისთავს ცხოვრობდნენ, მაგრამ მაინც სვანების ჩასვლა დალში არ მოსწონდათ. გასაგებიცაა. ჩამოსული სვანები ტყეში ასუფთავებდნენ სათანადო ადგილებს სამოსახლოთ და ორ-სამ წელიწადში უკვე სავსებით მოწყობილი იყვნენ. ადგილი ბევრი იყო და მიწა. შენობისათვის ხე. მუშაობისათვის დროც მეტი ცხადია. ზემო სვანეთში 3 — 4 თვეა წუშაობის ხანა, დანარჩენი დრო კი ზამთარია — თოვლი. დალში კი ზღვის სიხლოვე შედარებით მის ჰავას ანაზებს და ზამთარი იქ სულ მცირეა, მაშასადამე სამუშაო დრო დიდია. დალში ჩამოსახლებული სვანები შეეგუა რასაკვირველია დალში მოსახლეთა ცხოვრების პირობებს და იმის ყაიდაზე მიჰყო ხელი თავისი ცხოვრების მოსაწყობად. დალში სვანების ცხოვრება ისე შეიცვალა, რომ სრულიად არ წააგავს იგი ზემო სვანურს. დავიწყოთ მათი შედარება. მაშინ როდესაც ზემო სვანები შექუჩებულნი არიან თავის შენობებით და ციხე კოშკებით შემოფარგლული, უნთავრესად ე. წ. „თავისუფალი“ სვანები, უშგულელები ზედმიწევნით, იმავე დროს დალში მოსახლე სვანები ძლიერ გაშლილად ცხოვრობენ. თუ კი ზემო სვანის ოჯახის მთელი შემადგენლობა უმრავლეს შემთხვევაში თავის დარბაზში ერთად ცხოვრობენ და ძლიერ ხშირად იქავეა საქონელიც, დალში ეს ასე არ არის. ცალკეა ბინა — პატარა სახლი, ცალკეა ბოსელი, სასიძინდე, სკოორე და სხვა. მასთანვე დალეული სვანები კარგად ითვისებენ დალში დარჩენილ სხვა ტომების შედარებით უკეთეს მოწყობას ოჯახურ პირობებში, ასე რომ მათი ბინები სისუფთავის მხრითაც და სინათლის მხრითაც დიდათ განსხვავდებიან ზემო სვანეთის ჩაკეტილ-ჩაბნელებულ საცხოვრებელ შენობებიდან. ამას გარდა მოსავლის მხრივ უფრო უზრუნველყოფილი არიან დალეული სვანები, ვიდრე ზემო სვანები. ზემო სვანი შემოდგომიდან გაზაფხულამდე სამუშაოდ თუ არ გავიდა იმერეთ-სამეგრელოში, ისე არ შეიძლება, რად-



სურათი 9.



სურათი 10.

დალში გადმოსული პირველი სვანები.

გან მისი მცირე მოსავალი ოჯახს არ ეყოფა. დალის სვანს კი შეუძლია თავის მიდამოებს არც მოცილდეს, თუ რასაკვირველია რაიმე უბედურობა არ ეწვია. ასეთ უბედურობად კი უნდა ჩაითვალოს უმთავრესად დათვების შენოსევა, ვინაიდან იგინი ანადგურებენ დალში სვანის ყანებში სიმინდს. ეს გარემოება აიძულებს სვანებს მთელი ღამე ყანაში ჟყარაულოს თავის მოსავალს და სარჩო-საბადებელს მთელი ღამე სოფელი ფხიზლადაა. არის ფშტვენა, კიყინა. პირველ დღეებში ჩემზე ასეთი წივლენა საზარელ შთაბეჭდილებას ახდენდა. მართლაც და შემოზინდებოდა თუ არა შეიქნებოდა სოფლის ყოველ კუთხიდან კიყინა და ფშტვენა, შუალამემდის ოჯახის ერთი ნაწილია ფხიზლად, ნაშუალამევს დილამდის მეორე ნაწილი. ისმის ძაღლების საზარელი ყეფა. მაგრამ ამისდა მიუხედავად დათვები სიმინდს მაინც ჭამდენ. დათვებიც შეეჩვია ამგვარ კიყინა-ფშტვენას. დალში სვანის სამოსახლო უშუალოდ ტყითაა შემოფარგლული, ასე რომ როდესაც სოფელი გინდა შეამჩნიო, ვერ ხედავ მას, რადგან იგი მთლიანად ტყეშია შეფარებული. ამის გამოა რომ დათვებიც აშკარად ნავარდობენ და აწუხებენ




სურათი 11. იაროსლავ იოსელიანი.



სურათი 12. საშა გასვიანი.

იქაურ სვანებს. ბლომადაც ზოცავენ სვანები დათვებს, თუ კი თოფი ვისმეს მოეძებნება. მონადირეებიც ბლომად არიან. დათვის ტყავები ოჯახებში ბლომადაა, რაც ამშვენებს რასაკვირველია სვანის სახლის მოწყობილობას.

მაშასადამე საერთოდ რომ ავიღოთ დალის სვანების ცხოვრება, იქ მეტი ჰიგიენური პირობებია შექმნილი ამ უკანასკნელ ორ ათეულ წლებში. ამდღევარი ცხოვრების პირობები ცხადია მის ჯანმრთელობის მხარესაც უეჭველად ეხება. მაგალითისათვის ავიღოთ ის გარემოება რომ ქლეჩი დალში სვანებს შორის ფრიად იშვიათი მოვლენაა, მაშინ როდესაც ზემო სვანეთში იგი 25%-თაა მოცემული. აგრეთვე სხვა დაავადებანიც. თვით ჩიყვიც ნაკლებაა გამოსახული, მიუხედავად იმისა რომ მოტანილი ჩიყვიც ბევრია და ადგილობრივადაც იგი ბლომადაა არამც თუ მარტო სვანებს შორის, არამედ ლათის რაიონში მოსახლე აფხაზებს, მეგრელებს რუსებსა და სომხებს შორისაც. მაგრამ მაინც ჩიყვი დალში სვანებს შორის შედარებით ზემო სვანეთთან, სადაც იგი 22,4%-თაა მოცემული, თუ არ მივიღეთ მხედველობაში აგრეთვე ქვემო სვანეთში მძინვარე და 50%-ით მოცემული ჩიყვი, დალში მისი % 19,5-ია. დაუმა-



ეროვნული  
მუზეუმი

სურათი 13. რუსეთის მეფეების გამართებული პოლიტიკის ნაშთი.

ტებით იმის და მიუხედავად, რომ შედარებით იმავე ზემო სვანეთთან, სადაც მრავლადაა მადნეული წყლები, რომელიც შემანელებლად მოქმედებს ჩიყვიანობაზე, დალში ეს მკავე წყლები ნაკლებადაა, თუ არ მივიღეთ მხედველობაში ჩხალთის ხეობის ის ნაწილი, სადაც მკავე წყლებია და სადაც სვანთა მოსახლეობაც ნაკლებია.

შევეხოთ ისევ სვანების ჩასახლებას დალში და ახალ ახალ სამოსახლო ადგილების შექმნას. თუ კი დალში იმ ადგილებში, სადაც ახლა მხოლოდ სვანები ცხოვრობენ, 30 წლის წინად იყო სამი დასახლებული ადგილი რუსებით, დღესდღეობით უკვე მხოლოდ აჟარის რაიონის სამ ნაწილში: გუნწხიშისა, თვით აჟარის და ჩხალთისაში 29 სოფელი და ახალშენია; ერთიც ზემო ლათში. ასევე პროცენტი სვანებია, ვინაიდან თანდათანობით რუსობა გადასახლდა დალიდან და მათი ადგილები შეიყიდა სვანებმა. ამ მგდომარეობას ხელი შეუწყო იმპერიალისტურ ომმა და შემდეგ რევოლუციამ, ასე რომ იმ მიდამოებში დღეს დღეობით დარჩენ განსაკუთრებით სვანები. მხოლოდ დარჩენილი რუსული ყაიდის ეკლესია მოწმეა იქაურ წარსულ რუსიფიკატორულ პოლიტიკის. არის ახალშენები, რომლის შექმნას 3—4 წლის ისტორია აქვს მხოლოდ. სულ დღეს დღეობით ჩემი გამოკვლევით, რასაც შე ოჯახ-ოჯახ ვაწარმოებდი ყველა 30 სოფელში და ახალშენში მთელი დალის უდაბურ ტყეებში რომაა გაფანტული, გამორკვეულია რომ ოთხ სათემოში 324

მოსახლეა და მცხოვრებ სევანების რიცხვი ორი ათასამდე ახ-  
წევს, ზუსტად კი ეს რიცხვი იმ ხანებში 1857 იყო. აქედან  
მამრობითი სქესის 943, დედრობითი 914; მთლიანად რომ ავი-  
ლოთ საერთოდ დალში მცხოვრებთა მრიცხველობა, მივიღებთ  
შემდეგ სურათს:

ქართველები 67%, აქედან სევანები 52%, მეგრელები 15%.  
სომხები 25%, უმთავრესად ომის დროს გადმოსახლებულნი.  
აფხაზები 4.5%.

რუსები 2%.

დანარჩენნი 1.5%.

თუ კი სევანები ზემო ლათამდის ჩაიწიენ 40—45 კილომეტ-  
რის მანძილზე ზემო სევანეთიდან შავი ზღვის მიმართულებით  
და იმ ზემო ლათში შეჩერდენ, ეს აიხსნება იმით რომ იმაზე  
დაბლობ ადგილებში სვანი აღარ იცხოვრებს; ბარი მისთვის  
უჩვეულო ხილია, მასთანვე იქ მალარია მძვინვარებს, რაც სვანს  
ძლიერ აშინებს. უკანასკნელ ხანებში თანდათანობით უკვე  
შემცირდა დალისაკენ ლტოლვა, ვინაიდან სათანადო ადგილე-  
ბი აღარ არის დასასახლებლად და მასთანვე ზემო სევანეთის  
კულტურული ცხოვრება კვლავ თავისაკენ იზიდავს დალის  
სევანებს.

იმისდამიუხედავად რომ ცხოვრების პირობები გაუმჯობე-  
სებული აქვს, კულტურულად ჩამორჩენილობა თავის ძმებთან  
შედარებით ძლიერ აწუხებს დალში მოსახლე სევანებს. სკოლა,  
სწავლა, ტფილისი, მასწავლებელი, მკურნალი, გზა — აი მთა-  
ვარი ჩივილი, რასაც მაშინ თქვენ გაიგებდით დალში სვანისა-  
ვან. ქალი და კაცი, დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზდა —  
ყველა ერთხმად ამაზე ჩივის. ხშირად მეუბნებოდენ სევანები:  
„უნდა გადავსახლდეთ ისევ სევანეთში, მართალია იქ გაჭირე-  
ბული ცხოვრებაა, მაგრამ განათლება ხომ მაინც შევიდაო“.  
ხშირად მიხედობოდა მათთვის ნუგეშის მიცემა, რომ ეს ყველა-  
ფერი დროებითია, თქვენსკენაც წამოვა იგივე განათლება, მხო-  
ლოდ საჭიროა მეტი სიმხნევე, მეტი მღობენა. მე კი ვიცოდი  
რომ ამ მხრივ უკვე სათანადო სამზადისი იყო სოხუმში მაზრის  
აღმასკომში. მიექცა ყურადღება დალს უმთავრესად სოხუმში  
საქართველოს ცავის მესამე სესიის გახსნის შემდეგ, როდესაც  
სევანებმა თავისი ჭირვარამით წადგენ საქართველოს წარმოშად-  
გენელთა წინაშე. მანამდის კი სრულიად მივიწყებული იყვნენ



სურათი 14. სამსონ ჩოფლიანი.

სურათი 15. სპირიდონ მურტულიანი.

ივინი, თავის ანაბარად დატოვებულნი, უსწავლელნი, უკურნებელნი. მხოლოდ გაზაფხულის მიწურულს გაიხსნა სამი სკოლა და ზაფხულის დასაწყისში საშკურნალშემწო ორი წერტი. შავრამ ეს ვერ აკმაყოფილებდა დალის სვანებს, რომელთა ახალშენები ძლიერ შორიშორსაა ერთმანეთისაგან მთის ფერდობებზე, ალაგ-ალაგ მოსახლე მოსახლიდან რამოდენიმე კილომეტრითაა დაცილებული. მეზობელი მეზობელს იშვიათად ხედავს ხოლმე, ისე დაცილებული არიან ერთმანეთს.

„არ ვიკვირთ, სოსო, — მეუბნებოდა ერთი შვეზურთავანი სამსონ ჩოფლიანი — რომ ადამიანებს კიდევ ვგავართო და აქამდის არ გავდავდიოთ“, ე. ი. დევებათ არ ვიქცეითო.

ტვიბრაშარის ხეობით ჩამოვდიოდით და წასასაუზმებლად მეორე მეგზურის სპირიდონ მურტულიანის სახლთან შევისვენეთ. „ხომ ხედავთ საიდან უხდებათ ჩვენს ახალგაზდა ამხანაგებს აქარაში ჩამოსვლა, რომ ცოტაოდენი რამე წავიკითხოთ, ერთმანეთს ახალი რამე უთხრათ და ჩვენი გულისწადილი გადავცეთ“ — მეუბნებოდა იგივე სამსონა. მიკვირდა, როდესაც ტვიბრაშარის ანუ შავი ღელეს ხეობით ხუტიას მთიდან რომ ჩამოვდიოდით და ამ დაქანებულ ადგილებში ღელეს პირად სამოსახლო ადგილი ტყეში რომ შემოუფარგლავს გადმოსულ

სევანს. გაქირების ბრალია. ახალგაზდობა მაინც ძლიერ შეწყუ-  
ხებული იყო იმ გარემოებით რომ მათი გულისწადილი, რათა  
სწავლა განათლება მიეღოთ, განუხორციელებელი რჩებოდა.  
მაშინ როდესაც ზემო სვანეთიდან მრავალი ახალგაზდობა  
სწავლობდა ქუთაისში და ტფილისში, დალიდან იმ ხანებში  
ჯერ კიდევ ერთი სვანიც ვერ წამოსულიყო. „სხვა ხალხი ხომ  
არა ვართ“ — კვირობდენ სვანები. სწავლია სურვილი იმდენა-  
დაა განჯდარი დაღის სვანებს შორის, რომ არ შემიძლია ერთი  
ფრიად დამახასიათებელი ამბავი არ მოვიყვანო აქ. სოფელი  
გამოღმა პტიში ჩხალთის ხეობით მის შენაკადის პტიშურას მი-  
დამოებში გადაშლილი, ძლიერ მოცილებულია გზას. სოფელს  
სკოლის უიმედობით მოუწყვევიათ ერთი იქაური სვანი, რომელ-  
საც წერა-კითხვა ცოდნია, უქირავებიათ მისთვის ბინა, დაუ-  
ნიშნიათ ჯამაგირი და მთელი გასული წლის განმავლობაში  
იგი ასწავლიდა პტიშელ ბავშვებს უწინგოდ რასაკვირველია.  
წარმოიდგინეთ ასეთ პირობებში ბავშვებს ქართული წერა-  
კითხვა მაინც უსწავლიათ. სვანების გონიერი ჭკუაწახვილობა  
ხომ ცნობილია. ეს ამბავი მე სწორედ იმ სოფელში ყოფნის  
დროს ვაევიე. სოფლის ბილიკით რომ ჩამოვდიოდი გზაზე ორი  
მოხუცი სვანი შემხვდა და ერთი წათვანი მამურზა გვიჭიანი  
მიყვებოდა თავის მოძმეთა გასაჭირს: „სკოლა გვინდა, სკოლა,  
ნამდვილი მასწავლებელი, ეს არის ჩვენი შთავარი თხოვნა“.  
„სკოლას, მამურზა ჩემო, გაგიხსნიან უეჭველად“ — ვეუბნებო-  
დი მოხუცს. და წარმოიდგინეთ მამურზას გაკვირვება, როდეს-  
აც მე მას ერთი კვირის შემდეგ შევხვდი სათემო ყრილობაზე  
და მათი სოფლისათვის სკოლის გასახსნელად სოხუმიდან ჩა-  
მოსულ მაზრის აღმასკომის თავმჯდომარემ გადასცა 500 მანე-  
თი, ის თანხა, რაც სოფელმა ითხოვა. „რას იტყვი მამურზა ახ-  
ლა, მოსალოცი ზართ პტიშელები“ — ვეუბნებოდი მე. „გა-  
ცოცხლა ღმერთმა, აწი აღარა გვიჭირს, სკოლას მოვესწარით,  
ბავშვები გაიხარებენ და ჩვენც“ — იყო პასუხი.

აღიერ გამიკვირდა ერთ დღეს, როდესაც ჩხალთის ხეობით  
აძგარის მადნეულ წყლებს მიდამოებში ერთ დასახლებულ სვა-  
ნის აბრამ თამლიანის ოჯახში რომ მოვხვდი და ჩემს სიხარულს  
საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ვაევიე, რომ მისი ვაჟი გეგი  
ტფილისში სწავლობდა თურმე საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში.  
ეს გეგი მომავალში უკვე მუშაყელი სტუდენტი, ერთ-ერთი



სურათი 16. აბრამ თამლიანი, სოსო ასლანიშვილი, გეგი თამლიანი.

საუკეთესო მოღვაწე შეიქნა დალში და მასთანვე ჩემი დიდი მეგობარი.

მისი წყალობით დღესაც დიდი მასალა მეძლევა დალის სვანების ყოფა-ცხოვრების შესახებ, თვითონ დაინტერესებულია ძლიერ და მეც მახალისებს დალით.

ზემო ლათში მუშაობის დროს წვიმის გამო შევჩერდი ერთ მოსახლესთან, შემოიკრიბა მრავალი ხალხი, კაცი და ქალი. ჩამოვარდა ლაპარაკი მათ გაჭირებულ ცხოვრებაზე, უმთავრესად კი სკოლაზე. მე მთხოვეს დაბრუნებისას დამეწერა მათთვის თხოვნა სკოლის გახსნის შესახებ. მე კი ასეთ განცხადების დაწერის შესახებ უნალვე დასტური განვაცხადე, რაზედაც სვანები ძალიან გახარებული დარჩნენ. დავწერეთ განცხადება, წავიკითხეთ და ყველანი სიხარულით აწერდა ხელს. ამასობაში გადაიდარა და გამოუდგეჩით გზას. უკანასკნელი მოსახლე იყო გიორგი წურედიანი, სადაც შევჩერდი ღამის გასათევად. კარგა დაღამებული იყო წისქვილში რომ წაიღო სიწინდი. „დილაშდის დაიფქვება თავისით“ — მითხრა გიორგიმ. ვივანშმეთ. ამის შემდეგ ბაასი საქართველოს ცხოვრებაზე, სვანების წინმსვლელო-



სურათი 17.



სურათი 18.

დალელი სვანები.

ბაზე, ელექტროფიკაციაზე. ზაპესის ამბავმა ძლიერ დააინტერესა გიორგი. „მამ სანთელი და ნავთი საჭირო არ იქნება, ძალიანია სწორედ“ — ამბობდა გიორგი.

ერთ საღამოსაც ნამუშევარი აყარაში ვმუშაობდი, ჩემს მრიტცელობას თავს უყრიდი. ამ დროს შემოიღო კარი, შემოვიდა ზიმელი სვანი ბიტი კვიციანი, მეუცხოვა მისი მოსვლასე შეგვიანებით. ჩამოჯდა, ამოიღო ჯიბიდან ერთი ბოთლი არაყი, მეც საუზუნე მქონდა, ვიბასეთ. „ჩვენ სოფელში ხომ ვერ გადმოხვედი სოსო, შეუძლებელია; მართალია ახლოა, მაგრამ თქვენთვის კი არა, ჩვენც გვიძნელდება. თუ გაგვიჭირდა მაშინ მოვდივართ“ — მიხსნის ბიტი. „მართალია ჩემო ბიტი“ უდასტურებ მე. „ხო და ხიდი გვინდა“ — შეუბნება ბიტი. „ქალაღდი შევადგინოთ“! — ვეუბნები. „უეჭველად“ — მიდასტურებს ბიტი. არც მე ვარ ხიდების სპეცი, არც ბიტი, მაგრამ მაინც ვიანგარიშეთ, რომ მდინარე კოდორზე ჩხალთის ქვემოთ გაღმა ზიმანდე შივილეთ რა მხედველობაში ხის მასალა, საერთო ხალისით რომ შეუდგენ ზიმელები ხიდის გაკეთებას, საჭირო შეიქნება თანხა სამასი მანეთის რაოდენობით. შევადგინეთ ქალაღ-



სურათი 19.



სურათი 20.

დალელი სვანები.

დი, უნდა ყველას მოეწერა ხელი, მაგრამ ეს ბიტის საქმე იყო ივია ზიმელბის წარმომადგენელი. ამ ქალაქს არ დაშჯოლა ბიტი და პირადათ ჩემგან ითხოვდა მდგომარეობის აწერას და დადასტურებას. „ჩემ ქალაქს ბიტი მნიშვნელობა არავითარი აქვს“ — ვარწმუნებდი ბიტის. მაგრამ რადგან ჩემს ქალაქს თურმე მნიშვნელობა ქონია — ასე შარწმუნებდა ბიტი — დავწერე სათანადო ქალაქი.

საერთოდ დიდი ცნობის მოყვარეობა; საქართველოს ცხოვრების მიმდინარეობა, სწავლა-განათლების საქმე — ყველაფერი ეს ძალიან აინტერესებს იქაურ სვანებს. სოფელ გუნწისში ვიყავი და მთელი სოფლის გამოკვლევის შემდეგ დასასვენებლად მივაშურე გიორგი პირველის ბინაზე, სადაც დილიდანვე ვაჩერდით, მაგრამ იქ აუარებელი ხალხი დაწვდა, ყველას აინტერესებდა ახალი ამბები, მასთანავე უკვირდათ რომ მე კარგად ვიცნობდი სვანების ყოფა-ცხოვრებას, თავისუფალ და საბატონო სვანეთის არამც თუ თემებს, არაწედ ყველა სოფლებს და ამ სოფლებში მოსახლე გვარეულობასაც კი. უკვირდათ რადგან თვითონ ძალიან დაინტერესებული იყვნენ სვანეთის



სურათი 21. სვანის ქალები — კომკავშირელები.

ამბებით, მეც იძულებული ვიყავი მთელი ჩემი წიგნი მათთვის წამეკითხნა.

დალში ჩემს მუშაობის ბრწყინვალე დაგვირგვინებას უეჭველად ჩემ წიგნმაც ერთგვარად შეუწყო ხელი. თავისთავად ცხადია, რომ თვით სვანების გონიერი მოპყრობა ჩემს მუშაობისადმი, ამ მუშაობის სრული გაგება სვანის ახალგაზდობის მხრდვ, რომელნიც ორი ან სამი მუდამ დამყვებოდა სოფელ-სოფელ და სავსებით მიხსნიდნენ ყოველივეს — რასაკვირველია ეს იყო მთავარი ღერძი ჩემი მუშაობის კეთილ მიმდინარეობისა.

მახსოვს, ჩემი ჩამოსვლის მესამე დღეს მუშაობა რომ უნდა დამეწყო, დაპირებისამებრ დილით მოვიდა ჩემთან ახალგაზდა სვანი სპირიდონ მურღულიანი, რომელიც ოთხი დღე განუწყვეტლივ ჩემთან დადიოდა კოდორის, საკენის და ღვანღრას სათავეებში. გუნწისში კი თავის სურვილით შემოგვიერთდა საშა გასვიანიც, შემდეგ სამსონა ჩოფლიანი და სემლარ გასვიანიც. მათ ახალისებდათ ჩემთან სიარული, ხალხის ავკარვის ვაცნობა ჩემი ხელმძღვანელობით.



სურათი 22. ახალგაზრდა სევანები დალიდან.

ასეთი სიარულით რასაკვირველია სავსებით ვეცნობოდი ხალხის კირვარამს, მის ყოფა-ცხოვრებას. საქმეც გაიჩარხა. სევან მეგზურებმა უკვე იცოდენ ჩემი გამოკითხვის გეგმა და მუშაობაც სწრაფად შიშინარეობდა.

სოფლიდან სოფელში გადასვლისას ვამჩნევდი, რომ სოფლის ახლო მიდამოები მთლიანად მოფენილი იყო ანწლით. ანწლი მცენარეა, რომელსაც დაღის სევანებს შორისაც დიდი გასავალი აქვს. საქმე იმაშია რომ სევანები ანწლიდან დაღშიც არაყს აკეთებენ. იქაც როგორც ზემო და ქვემო სევანეთში ხშირად შეხვდებით არაყის გამოსახდელ ხელსაწყოს. აღსანიშნავია რომ დაღში ანწლის ბუჩქები აუარებელია. მათი სიდიდე კაცის ოდენობასაც აწევს. აი სწორედ ამ ანწლით მოდებულ მიდამოებში ხშირად გვიხდება ვაგლა. ანწლი უკვე შწიფდებოდა და ალაგ-ალაგ სევანები შეუდგენ კიდევ მათ კრეფას. „სევანური ვენახია“ — ამბობდა საშა გასვიანი და ანწლზე მიმითითებდა. „ეგაა ჩვენი ყურძენი“ — შეუბნებოდა სპირიდონ შურღულიანი. მართლაც ეს მოვლენა ფრიად მნიშვნელოვანია

თვით სვანის ცხოვრებაში, ვინაიდან უარაყოთ მისი ცხოვრება წარმოუდგენელია, რაც ცხადია ძლიერ სამწუხაროა; ასე რომ ანწლის მოსავალი და კრება ეს ისეთივე მოვლენაა სვანის ცხოვრებაში, როგორც სიმინდის მოსავალი. მაშასადამე ეს ჩვენც უნდა მივიღოთ, როგორც სვანეთის ცხოვრების სინამდვილე, მით უმეტეს დალში.

ახლა შევხვით თვით სვანის მეურნეობას. სიმინდი დალში ითესება მთლიანად და კარგიც მოდიც, მხოლოდ ალაგ-ალაგ შედარებით მაღლობებში მცირეოდნად პურსაც თესენ. სიმინდი კი არის მთავარი საკვები მარჩენელი მასალა დალში. შემდეგ კართოფილი, რომელსაც საერთოდ უკანასკნელ წლებში უკვე ხელი მოკიდეს სვანებმა. ამას გარდა ყოველივე ბოსტნეული. ხეხილიდან: მსხალი, ვაშლი, ტყემალი, რაც ზემო სვანეთში უცხო ხილია.

ყოველივე ამას უნდა დაუმატოთ მესაქონლეობა, რაც დალში ზემო სვანეთთან შედარებით უფრო კარგ პირობებშია და ამისათვის საქონელიც კარგია და შეტიც ყავთ. მთელი ზაფხული ეს საქონელი ხუტიასა და ჰარვას მთებზეა, სადაც მათან იმყოფება აგრეთვე უმთავრესად ახალგაზნდობაც. მთაში ყოფნა ერთგვარ სიხალისეს იწვევს სვანის ახალგაზნდობაში და მეც გადავწყვიტე მათ ვსტუმრებოდი მთაში მუშაობის დასასრულს, მაგრამ სამწუხაროდ საქონელი ადრე ჩამოვიდა მთიდან, ვინაიდან ზაფხულის დამლევს ადრე დათოვა მთებში საერთოდ. სწუხდენ თვითონაც, რომ ვერ მოვახერხებ მათთან მისვლა, მელოდენ თურმე.

მესაქონლეობა რასკვირველია იძლევა ყველს, რძეს. ცნობილია ხომ სვანური ხაჭაპურები. ზელდახელ უცხად სადაც მიხვალ, კეთდება ხაჭაპურები. მშვენიერია მართლაც. სვანურ სტუმარ-მასპინძლობას ვერსად წაუხვალ. მაინც ჩვენს მუშაობის დროს გაჩერება გვიხდებოდა იმ სოფელსა და ოჯახში, სადაც შემოგვადამდებოდა. პატრივისციენა უსაზღვრო. სვანის გულუხვობა, რაზედაც მე წინა წლით მქონდა მსჯელობა და ვაწოვაქვეყნე კიდეც, დალში სავსებით დამიდასტურდა.

იმისდამიუხედავად მოვხვდებოდი ცოტა შეძლებულ ოჯახში, თუ უღარიბეს ოჯახში, მიღება ერთგვარი იყო. მაგალითად ერთხელ დავვალამდა ოჯახში, რომლის შემდეგ მეორე მოსახ-



სურათი 23. სვანი — კომკავშირელები.


ლე ძლიერ შორს იყო. მოსახლე კი უღარიბესი აღმოჩნდა და ერთგვარად შეწუხდა კიდევ, რომ ვერსად დაგვაწვენდა, მაგრამ ჩემის მხრით მისი გამხნელება, რომ გარეთ სადმე ან სასიმიინდეში ჩემს ნაბადში გავეხვევითქო, ხელდახელ დავმეგობრდით და უკვე ნავახშმებს, როდესაც თედორე დათვებს უკიჟინებდა, ჩვენც სასიმიინდედან ვეძახდით: „ხომ არ გინდა თედორე დათვების დაფთხოვაში დაგეხმაროთ“. თედორე იცინოდა, შედიოდა ისევ თავის ბინაში, რამოდენიმე ხნის შემდეგ ისევ გამოდიოდა და უფშტვენდა დათვებს.

სხვათა შორის აქვე უნდა აღვნიშნო თუთუნის მოყვანის შესახებ. სვანებს მოყავთ სვანური თუთუნი, მაშინ როდესაც დალის მიწები, როგორც საერთოდ მთელი აფხაზეთის, თუთუნის საუკეთესო ადგილად ითვლება. ჩემს შეკითხვაზე, თუ რისთვის აგინი მეზობლებიდან არ ისწავლიან თუთუნის მოშენებას, რაც მათ კარგ შემოსავალს მისცემს, სვანებმა მიპასუხეს, რომ ჯერ ეს მათ ხელს არ აძლევს, რადგან გზა მათ ადგილებამდის არ მიდის, რომ თუთუნი ბაზარზე გაიტანონ და შემდეგ მის მოყვანას ერთგვარი ცოდნა და გამოცდილება ესაჭიროებათ.

აქვე საჭიროდ მიმაჩნია ავნიშნო: ის გარემოება, რომ დალში არის წამლული ძირეულობაც, რასაც სვანები იღებენ მიწიდან და სახელმწიფო სამკურნალო ვაჭრობის დაწესებულებაზე ყიდიან; ასეთია მაგალითად კატა-ბალახა (*Radix valerianae*), ე. წ. ვალერიანის წვეთების შემადგენელი ნივთიერება და მეორე არის, როგორც სვანები ეძახიან, „მადრაგულა“; რა არის ეს მადრაგულა ვერ გამოვარკვიე.

საერთოდ უნდა ითქვას რომ დალში მცხოვრებთა ეკონომიური მხარის გაუმჯობესებას კარგი მომავალი უჩანს, მხოლოდ საჭიროა ერთგვარი კულტურული დახმარება ჩვენის მხრივ და დალის სვანების საქმე ცხადია გამოიჩარხება.

შევხვით ახლა დალის სვანების კავშირს მათ მოძმებთან, ზემო სვანებთან. ასანიშნავია რომ ეს კავშირი განუწყვეტელია. ხშირად ეკითხები დალის სვანს თუ სადაურია იგი, გინდა ვაი-გო რომელი სოფლიდან. „ეცერელი, იფარელი“ — გაიგებთ ხშირად. ეცერის თემი კი ყოფილ „საბატონო“ სვანეთშია, მხოლოდ იფარის — „თავისუფალ“ სვანეთში. დალის სვანი თავის სამშობლო ადგილად მაინც ზემო სვანეთს თვლის, ზემო სვანეთის ამა თუ იმ თემსა და სოფელს. ხშირია მაგალითად ერთმანეთში მისვლა-მოსვლა. ქალის მიცემა, ქალის მოყვანა. არის შემთხვევები რომ ორი-სამ წელიწადს ერთი ძმა ან რომელიმე ოჯახის წევრი ცხოვრობს დალში, შემდეგ ორი-სამ წელიწადს მეორე ძმა. ეცვლებიან ერთი მეორეს. ამით, ამბობენ იგინი, უფრო მჭიდრო იქნება ჩვენი კავშირი როგორც ჩვენს მოძმებთან, ისე ჩვენს მოშობელ მიწაწყალთანო. რასაკვირველია თვით სვანეთის ბუნებას შეჩვეული პირველ ხანებში დალში გადმოსული სვანი ვერ ეგუება აფხაზეთის შედარებით დაბალ ადგილებს და ისევ სვანეთის მკაცრი ბუნებისკენ აქვს მას თვალისაფხაზეთის სვანეთის სოფლები იმყოფება 200 — 900 მეტრის ფარგლებში, მაშინ როდესაც ზემო სვანეთის სოფლები გადაშლილია 1300 — 2100 მეტრის სიმაღლეზე, სადაც ზაფხულშიც თოვლი იშვიათი არ არის. ცხადია რომ ამ გარემოებას ერთგვარი კავშირი უნდა ქონდეს დალში გადმოსახლებულ სვანის ბუნებასთან. „სვანეთი, სვანეთი, წინ მიდის სვანეთი. ვანათლება შედის, გზა მიყავთ“ — უხარიათ სვანებს.



სურათი 24. სვანის ქალები — კომკავშირელები.

„თანდათანობით მშვიდობიანდება ყველა, ჩვენთანაც ეს ერთი წელიწადია მშვიდობიანობაა — მეუბნებიან სვანები — ჯერ ისევ შარშან სისხლის აღება იყო ძლიერი, აფრასიძეებს და დადემქელიანებს შორის, მაგრამ ეს გათავდა, ამოწყვიტეს ერთმანეთი“. სწორედ ამ სისხლის აღების შესახებ ამ ორი გვარეულობის შორის. აღნიშნული დადემქელიანები ეცერლები ყოფილან, აგრეთვე აფრასიძეები და მათ ურთიერთშორის მიწის ნიაღვრე დავა ჰქონდათ. იქიდან მომდინარეობს მათი ამოწყვეტის ისტორია. მართლაც, სადაც არ მივედი აფრასიძიანთ ოჯახში, დამხვდა მხოლოდ ქვრივ ობლები. დადემქელიანები კი აღარ არიან. სწორედ ამ ორ გვარეულობის გადაკიდების გამო ძლიერ შეწყუხებული იყვნენ გასულ წლების განმავლობაში დალის სვანები.

და უკანასკნელი წლის დაწყნარება, დამშვიდება ახარება და სვანებს, შით უმეტეს რომ მათ მეზობელ ხალხებში ასეთ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია. მათი დამოკიდებულება ახლო მყოფ მეზობლებთან უეჭველად კარგია. მათაც პატივისცემა აქვთ


ამ ხალხებში. დალის სვანები სვანურის გარდა ძლიერ კარგად ლაპარაკობენ მეგრულად და ქართულად, ნაწილობრივ რუსულ-ლიც იციან. მეგრულად მაგალითად ყველანი თავისუფლად ლაპარაკობენ, კაცი და ქალი. მასწავლებლებს, რომელნიც სოხუმიდან იყვნენ ამოსულნი, უკვირდით სვანების მიერ ასე ზედმიწევნითი მეგრულის ცოდნა. „სრულიად სხვა წარმოდგენა გვქონდა სვანებზე—მეუბნებოდა ერთი მასწავლებელთაგანი— მაგრამ მათ გაცნობამ დამარწმუნა, რომ სვანები ძლიერ გონება მახვილი და ადვილად ყველაფრის მიმხდომნი არიან. მაგალითად მოწაფეებს რაიმეს გამეორება არ სჭირდებათ, ერთხელ თქმა სრულიად საკმარისია“.

ჩემი მუშაობის უკანასკნელ ხანებში დალში სრულიად შეიცვალა ყველაფერი. კოდორის ხეობით მიმავალი გზა თვით ღვანდრის ზემოდ სავსებით გასწორდა, ასე რომ ალაგ-ალაგ ის ბილიკები, რომელზეც მე გაჭირებით მომიხდა გასვლა, შეკეთდა; შეკეთდა აგრეთვე ხიდები და უკვე არამც თუ ცხენი, არამედ სამეურნეო ოთხთვალა ეტლიც კი ამოვიდა. ამას გარდა მიეცათ ზოგიერთ სოფლებს საშვალეება გაეხსნათ ახალი სკოლები, კოოპერატივისათვის, რაც იქ სრულიად ახალი ხილი იყო, მიეცათ სათანადო თანხა, სოფლის საბჭოს შენობა გადავიდა ნომავალ სამკურნალოსათვის, სადაც 10 საწოლი იქნება მოწყობილი და აგრეთვე მკურნალიც გაიგზავნება. საქმის წარმოება, რაც მანამდის რუსულ ენაზე იყო, უნდა გადასულიყო უკვე ქართულ ენაზე და მრავალი სხვა.

ყოველივე ეს ძლიერ ახარებდა რასაკვირველია სვანებს და ყველაზე უფრო ქოხ-საშკითხველოს გამგეს ვიქტორა დგებუაძეს, რომელიც იმ ადგილებში ერთად ერთი მომზადებული ახალგაზდა სვანი იყო და რომელმაც ხალხის ავ-კარგიც კარგად იცოდა. ყველა მასთან მიდიოდა გაჭირების დროს, ყველა მას უჯეროდა და დარიგებას თხოვდა.

როდესაც მე უკვე ყარაჩა-ჩერქეზეთისკენ ვეპირებოდი აკლუხრას გადასვლით კავკასიონზე გადასვლას და უკანასკნელად ვემშვიდობებოდი იქ მოგროვილ სვან-მეგობრებს, ვიქტორ დგებუაძე გადამეხვია და მითხრა:

„არ დაგვივიწყოთ, თქვენ უკვე ჩვენი ამბავი კარგად იცით, თქვენი იმედი გვაქვს“.



სურათი 25. აკლუხრას იადასავალისაკენ მიმავალი ბილიკი.

ძმურად გადაგვოცნე კატორას და შევპირდი დალის სვანე-  
ბის შესახებ ზრუნვას, რითაც კი საშვალეა მექნება.

ასეთია მოკლე მიმოხილვა აფხაზეთის სვანეთის შესახებ,  
სადაც მე ერთ თვეზე მეტი დავყავი და საიდანაც მრავალი მა-  
სალა და ცნობები წამოვიღე და აგრეთვე იმ კუთხის მოსახლე-  
თა საუკეთესო სიყვარული.

უკანასკნელად უკვე კავკასიონისკენ მიმავალი გადმოვ-  
ცქეროდი განთიადისას ღვანდრის მიდამოებიდან კოდორის  
ხეობას, რომლის ორივე ნაპირას გადაშლილ სოფლებს ჯერ  
ისევ ნაწილობრივ ნისლი ფარავდა და მხოლოდ მამლების ყი-  
ვილი გვამცნობდა რომ ის მიდამოები ძილს მოეცვა.

თანდათნობით ტყეში შევდიოდით და სვანეთის არე-მარე  
უკან გვრჩებოდა, უკან გვრჩებოდა ის არე მარე, სადაც ჩაიქსო-  
ვა ჩვენი სიყვარული, რადგან იქ დარჩა მრავალი ახლად გაცნო-  
ბილი თანამოდმე მეგობრები, რომელთაც დიდი ლტოლვა და  
მიდრეკილება აქვთ საქართველოს შორეულ კუთხეებში მცხოვ-  
რებ თანამოდმეებთან, ამ ლტოლვაში უეჭველად ჩაქსოვილია  
მათი სურვილიც, რომ მათი ცხოვრების შესახებ ახლა მაინც

ვაიგებენ საქართველოში, ვაიგებენ რომ აფხაზეთის მთებშიც, მის უდაბურ ტყეებში — დაღში ცხოვრობენ სვანეთიდან მო-  
ყვეტილი სვანები, რომელთა კეთილი ზრახვანი და მისწრაფე-  
ბანი აუცილებლად დაკავშირებულია საბჭოთა საქართველოს-  
თან და მისი მშრომელი ხალხის, მისი პროლეტარიატის დიად  
მომავალთან.





ქართული  
ენების ენციკლოპედია

